ზაალ ქორთუა

DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2023.15.10

დიმიტრი ბაქრაძისა და გრაფინია უვაროვას სვანეთის შესახებ ისტორიული ნაშრომების ქართულ ენაზე გამოცემის შესახებ

(რეცენზია)

რამდენიმე წლის წინათ ისტორიკოსმა კონსტანტინე ჭილაიამ რუსულიდან თარგმნა და გამოკვლევებით გამოსცა პოლკოვნიკ ივანე ბარტოლომეის ,,მოგზაურობა 1853 წელს თავისუფალ სვანეთში“, რომელიც ინტერესით იქნა მიღებული ისტორიის მოყვარულთა და ზოგადად მკითხველთა მიერ. ივანე ბარტოლომეის ნაშრომის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს კ. ჭილაიას მიერ რუსულიდან თარგმნილი და კომენტარებით გამოცემული დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომი ,,სვანეთი“ (1864 წ.) და ცნობილი რუსი მეცნიერის გრაფინია უვაროვას სვანეთში მოგზაურობის მასალები (ჟურნ. ,,Кавказъ“, ნაწილი III, М.1904 წ.) დიმიტრი ბაქრაძე, გრაფინია უვაროვა - ,,სვანეთი“ თარგმნა და კომენტარები დაურთო კონსტანტინე ჭილაიამ, გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბ., 2023).

წარმოდგენილი წიგნი ერთგვარად ავსებს გამომცემლის მიერ შემოთავაზებულ წინა ნაშრომს XIX ს. შუა ხანების ისტორიული ფაქტებით, სვანეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ამსახველი სურათებით, საინტერესო ცნობებით არა მარტო სვანეთის, არამედ ზოგადად, საქართველოს შესახებ.

ნაშრომში აღწერილია სვანეთის ეკლესიების წარწერები XI-დან XVIII ს. ჩათვლით. თითოეული თემი დახასიათებულია ყველა თავისი პარამეტრით (სვანის ტიპი--ხასიათი, ფიზიოლოგიური მონაცემები, რწმენა-წარმოდგენები, მშობლიურ მიწასთან მიზიდულობა).

ავტორი, ეცნობა რა თითოეული თემის თავისებურებებს, გამოთქვამს არაორდინალურ აზრებს, რომელიც ნაშრომის ძირითად ხაზს, ობიექტურად გააშუქოს მის ხელთ არსებული ისტორიული მასალა, არ ეწინააღმდეგება. (მაგალითად, ლახამულელების ებრაული

წარმომავლობის შესახებ Ზ. ქ). საინტერესო ცნობებია გამოთქმული სვანების ცრუმორწმუნეობის შესახებ. ავტორი გამოყოფს სვანეთისთვის ერთობ საინტერესო ფაქტს საზოგადოებრივი საქმეების (დავების Ზ.ქ.) მშვიდობიანად მოგვარების, საერთო გადაწყვეტილების მიღების ტრადიციის შესახებ, რომელიც თემის (სოფლის Ზ.ქ.) ყრილობაზე ხდებოდა.

ცნობილია, რომ მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია ხატებზე შესრულებული წარწერები და მინაწერები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სვანეთის ეკლესიებში დაცული ხატები და მათი წარწერები, რომლებიც ხშირად საინტერესო დეტალებით ავსებს ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულ მასალებს. მაგ: ფხოტრერის ხატის წარწერა გარკვეულწილად იმეორებს ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერას, რომელიც ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) მმართველობის დროს არის შესრულებული (იხ. კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, თბ., 1942).

სვანეთის ეკლესიებში დავანებული ხატების წარწერები ნათლად წარმოაჩენს მთისა და ბარის ურთიერთობებს გვიან ფეოდალურ პერიოდში. ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი სამთავრო და თავისუფალი სვანეთი. აღნიშნული პრობლემით დაინტერესებული მკვლევრისთვის საჭირო ინფორმაციის შემცველია სვანეთის თემების აღწერილობა მათში შემავალი სოფლების, კომლებისა და საგვარეულოების მიხედვით.

გამომცემელი სხვა ისტორიული წყაროების მოშველიებით აზუსტებს ცნობებს, ფაქტებსა და მოვლენებს. მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მკითხველს აძლევს საჭირო განმარტებებს წიგნში აღწერილი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სვანეთის ეკლესიებში დავანებული ქრისტიანული რელიკვიების წარმომავლობა არ არის ლოკალური ხასიათისა, არამედ აქ დაცულია სრულიად საქართველოდან წარმოდგენილი ნივთები: ხატები, ზარები, საეკლესიო და სხვა სახის ჭურჭელი და ა.შ. ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც სვანეთი თავისი უნიკალური ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობით, მაღალი მთებითა და გაუვალი ტყეებით იზოლირებული იყო დანარჩენი სამყაროსგან და მიუწვდომელი იყო გარეშე თუ შინაური მტრისათვის. სვანეთში ქვეყნის განძის შენახვის ტრადიცია, არ არის გამორიცხული, რომ სათავეს იღებდეს XII საუკუნიდან, როცა თამარის მეფობის დროს ქვეყნის მეჭურჭლეთუხუცესობა სვანთა ერისთავს ვარდანს ეპყრა ხელთ. ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ისტორიული სვანეთის განსაკუთრებულ ადგილსა და

როლს როგორც ერთიან, ასევე სამეფო-სამთავროებად დაყოფილი საქართველოს სინამდვილეში სხვადასხვა პერიოდში.

წარმოდგენილი ნაშრომი იკითხება მსუბუქად და ინტერესით, რაც თარგმანისა და ზოგადად, გამომცემლის მაღალ აკადემიურობაზე მეტყველებს.

დიმიტრი ბაქრაძისა და გრაფინია უვაროვას სვანეთის შესახებ ისტორიული ნაშრომების წარმოდგენილი ქართული გამოცემა ქართული ისტორიოგრაფიისთვის საინტერესო და საჭირო შენაძენია, რომელიც გამოადგება როგორც მკვლევარ-ისტორიკოსებს, ასევე სტუდენტებს და ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ ფართო მკითხველ საზოგადოებას.